

## პროექტის გაცნობა

### წარმოგიდგენთ COSERE- ERASMUS+ პროექტს!

კოლეგიური მხარდაჭერა საგანმანათლებლო გარემოში შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მიმართულებას; მენეჯილ კოლეგებს, რომლებიც ხელს უწყობენ ერთმანეთის პროფესიულ ზრდასა და განვითარებას, პასუხისმგებლობისა და ავტორიტეტის გაზიარებას, ან თუნდაც მარტივ, დილის ყავის ტრადიციას, სადაც მასწავლებლები ღიად საუბრობენ სამუშაო ადგილზე ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე. როგორც არ უნდა იყოს ეს ფორმა, ჩვენ COSERE პროექტში ვიცით ერთი რამ: კოლეგიური მხარდაჭერის მაღალი ხარისხი უმნიშვნელოვანესია.



## რა არის COSERE პროექტის მიზნები?

### 1. საჭიროებების იდენტიფიცირება

სანამ ჩვენს საქმიანობას დავიწყებთ, უნდა შევაფასოთ განათლების სიტემაში არსებული კოლეგიალური მხარდაჭერის ფორმები. ამისთვის, კვლევა მნიშვნელოვანია!

### 2. არსებული ცოდნის გაძლიერება

განათლებაში არსებული კოლეგიური მხარდაჭერის საჭიროებების ფუნდამენტური შესწავლით, ჩვენ შევძლებთ კოლეგიალურობისა და თანამშრომლობის გავლენის ხელშეწყობას ამ სფეროში.

### შედეგები

### 1. ონლაინ სახელმძღვანელო

ჩვენ მოვამზადებთ ონლაინსახელმძღვანელოს, რომელიც გააერთიანებს კოლეგიალური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმას (ქოუჩინგი, ზედამხედველობა, სწავლება და ა.შ.) და მათ გამოყენებას განათლებაში მდგრადობისა და ზრდისთვის.

### 2. უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსი (CPD)

ჩვენ მიერ შემუშავებული უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსი (CPD), შეასწავლის საგანმანათლებლო ლიდერებს კოლეგიური მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკას. კურსი შეთავაზებული იქნება ჰიბრიდული ფორმით (დისტანციურ/ციფრული და პირისპირ)

### 3. სასწავლო ვიზიტები

პროექტის ფარგლებში ქვეყნებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო ვიზიტები უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლას/გაზიარებას.

ეს მხოლოდ სასწავლო მოგზაურობის დასაწყისია, ასე რომ თვალი გვადევნეთ! ოქტომბრის საინფორმაციო ბიულეტენში #2, დეტალურად იქნება განხილული რამდენიმე საინტერესო აქტივობა.

